გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

დადგენილება № 18

2023 წლის 18 აპრილი

ქ. გორი

,,გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/11/2017; 010260010.35.148.016394) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური არის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულების საქმისწარმოებას, მათ კომუნიკაციას ერთმანეთთან, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას; მერიის საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას; სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზებასა და განხორციელებას; ადამიანური რესურსების მართვას და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას; ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ურთიერთობას მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან, სხვა გაერთიანებებთან, სახელმწიფო

ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; მუნიციპალიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას; მერიის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას; მერის წარმომადგენლების და მერის წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციას და განხორციელების ხელშეწყობას; „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და ამ სფეროში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.“;

ბ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-15 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 27 აპრილს.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**